შპს გეოგლობალ აკადემია

ცვლილებები განხორციელდა შპს გეოგლობალ აკადემიის დირექტორის
2025 წლის 25 აგვისტოს N15548 ბრძანებით
დანართი 21

შპს გეოგლობალ აკადემიის შვიდწლიანი განვითარების სტრატეგიული გეგმა (2026- 2032)

მარნეული 2025 წელი

7 წლიანი განვითარების სტრატეგიული გეგმა ეფუძნება აკადემიის სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების დაგეგმარების მეთოდოლოგიას.

აკადემიის მიერ განხილული და შესწავლილი იქნა გარე და შიდა შეფასებები, ასევე გარემო პირობები, რომელიც შესაძლო გავლენას ახდენს აკადემიის ფუნქციონირებაზე. მიღებული ინფორმაციისა და ანალიზის საფუძველზე განისაზღვრა ძლიერი და სუსტი მხარეები. აღნიშნული უზრუნველყოფს აკადემიის ინსტიტუციურ გაძლიერებას, ახალ გამოწვევებთან და ცვლილებებთან ადაპტაციას. ამ მიზნით პროექტის დაგეგმვისას გამოყენებულ იქნა ანალიტიკური ინსტრუმენტები. SWOT- ანალიზის საფუძველზე განსაზღვრულ იქნა აკადემიის ფუნქციონირების თავისებურებები, რესურსები, კონკურენტული გარემო და მიზნობრივი ორიენტირები. მისიის საფუძველზე ჩამოყალიბებულ იქნა აკადემიის გრძელვადიანი პრიორიტეტები.

სტრატეგიული ალტერნატივების გაანალიზების საფუძველზე გამოკვეთილ იქნა აკადემიის გრძელვადიანი განვითარების სტრატეგია - განვითარების გრძელვადიანი მიმართულება, რომელიც დასახული მიზნების რეალიზაციის და ასევე, გარემოს შეცვლისა და არსებული ალტერნატივების ხარჯზე უპირატესობის მოპოვების შესაძლებლობას იძლევა.

პროექტის დაგეგმვისას აქცენტი მიმართულ იქნა აკადემიის არსებულ ფაქტობრივ მდგომარეობებზე ძლიერი და სუსტი მხარეების გამოსავლენად. ინსტიტუციურ გაძლიერების უზრუნველყოფის ღონისძიებების შემუშავებაზე;

დაგეგმვის საფუძველზე გააზრებულ იქნა:

- აკადემიის ფაქტობრივი მდგომარეობა;
- აკადემიის მიღწევები და გამოწვევები

- პრიორიტეტები თუ სად მოხდეს ენერგიისა და რესურსების კონცენტრაცია პოტენციალის მაქსიმალურად გამოყენების მიზნით;
- შეფასებული იქნა დაფინანსების ხარჯები;
- შეფასდა დროის, ძალისხმევის და რესურსების ინვესტირების მიზანშეწონილობა;
- განისაზღვრა აკადემიის საქმიანობის განვითარების გეგმები;
- განსაზღვრულ იქნა სხვადასვა აქტივობების დასაფინანსებლად საჭირო რესურსები;
- შეფასებულ იქნა სტრატეგიული გეგმის შესრულებაში მონაწილეთა ჩართულობის ხარისხი, პასუხისმგებლობა და კომპეტენცია.

SWOT ანალიზი

ძლიერი მხარეები

- განახლებული და სწორად განსაზღვრული მისია;
- ინსტიტუციის ფინანსურ მდგრადობას;
- შრომის ბაზრის მოთხოვნებთან თავსებადი საგანმანათლებლო პროგრამები.
- გამოცდილი და მაღალკვალიფიციური პროფესიული მასწავლებლები;
- თანამშრომლობითი გარემო;
- სოციალური პასუხისმგებლობა;

სუსტი მხარეები

- ადამიანური რესურსის შეფასების სისტემის გაძლიერება.

განვითარების შესაძლებლობები

- პროფესიულ სტუდენტების მოზიდვის ფაქტორი - პროფესიული განათლების მოთხოვნა საკმაოდ დიდია.
- კურსდამთავრებულებისათვის დასაქმების ხელშემწყობი კომპონენტების გაძლიერება;
- გამოცდილი პროფესიული მასწავლებლების განვითარება და გამოცდილების გაზიარება;
- პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით, მათი შესაძლებლობების მაქსიმალური გამოვლენისათვის სხვადასხვა რანგის ღონისძიებებში მონაწილეობა;
- ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის განვითარებისათვის ხელშეწყობა.

რისკები

- პროფესიულ კოლეჯებს შორის მზარდი კონკურენცია.

სტრატეგიული მიზნები

სტრატეგიული მიზანი N1 - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება

სტრატეგიული მიზანი N2 - სტუდენტური სერვისების განითარება

სტრატეგიული მიზანი N3 - მართვის პროცესების გაუმჯობესება და პროფესიული განვითარება

სტრატეგიული განვითარების გეგმით დასახული მიზნის მისაღწევი გზები, განსახორციელებელი ქმედებები, განხორციელების ვადები, განმახორციელებელი სტრუქტურები და პასუხისმგებელი პირები, შესრულების ინდიკატორები, მოსალოდნელი შედეგები

სტრატეგიული მიზანი N1 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება				
მიზნის მისაღწევი გზები	ვადები	განსახორციელებელი ქმედებები	განმახორციელებელი სტრუქტურები და პასუხის მგებელი პირები	შესრულების კრიტერიუმები; მოსალოდნელი შედეგები; დოკუმენტები
1.1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა, მუდმივი გაუმჯობესება და საგანმანათლებლო პროცესის განვითარება	მუდმივად	• პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის კონტროლი; • სასწავლო პროცესის კონტროლი სასწავლო გეგმების შესაბამისად.	**განმახორციელებელი სტრუქტურა:** • ხარისხის მართვის მენეჯერი • სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი **პასუხისმგებელი პირი** დირექტორი	**შესრულების კრიტერიუმები:** სასწავლო პროცესის მონიტორინგის შედეგები; სტუდენტების გამოკითხვები; მონიტორინგის შედეგად გაცემული რეკომენდაციები; წლიური ანგარიშები **მოსალოდნელი შედეგები:** ვითარდება საგანმანათლებლო პროგრამები და ინერგება სწავლების თანამედროვე მეთოდები
1.2. ახალი პროფესიული პროგრამების, პროფესიულო მომზადებისა და გადამზადების პროგრამების შემუშავება და განხორციელება შრომის ბაზრისა და ეკონომიკური სექტორის მოთხოვნების გათვალისწინებით.	2026 - 2028	• შრომის ბაზრის შესწავლა • ახალი პროგრამების განხორციელებაზე დაკვირვება და განვითარების უზრუნველყოფა	**განმახორციელებელი სტრუქტურა:** • ხარისხის მართვის მენეჯერი; • პროგრამის ხელმძღვანელები, პროფესიული მასწავლებლები **პასუხისმგებელი პირი** • ხარისხის მართვის მენეჯერი	**შესრულების კრიტერიუმები:** შრომის ბაზრის ტენდენციები, დამსაქმებელთა გამოკითხვები, ანალიზი და რეკომენდაციები; **მოსალოდნელი შედეგები:** ავტორიზებული პროგრამები

1.3.პოტენციური დამსაქმებლის ჩართულობა პროგრამების განვითარებასა და განხორციელებაში	2026-2028	• პოტენციური დამსაქმებლის რეკომენდაციების გათვალისწინება	**განმახორციელებელი სტრუქტურა:** • პროგრამის ხელმძღვანელები • სასწავლო პროცესის მართვის სამსახური **პასუხისმგებელი პირი** დირექტორი	**შესრულების კრიტერიუმები:** გამოკითხვები და გამოკითხვების ანალიზები; ანგარიშები; **მოსალოდნელი შედეგები:** მზარდი მოთხოვნები მომზადება-გადამზადების სასერტიფიკატო პროგრამებზე;
1.4. სწავლების თანამედროვე მეთოდების დანერგვის ხელშეწყობა	მუდმივად	• პროფესიულ მასწავლებელთა წახალისება	**განმახორციელებელი სტრუქტურა:** • სასწავლო პროცესის მართვის სამსახური; • პროგრამის ხელმძღვანელები • პროფესიული მასწავლებლები **პასუხისმგებელი პირი** დირექტორის მოადგილე	**შესრულების კრიტერიუმები:** აპლიკანტთა რაოდენობრივი მაჩვენებლები, სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის შედეგები **მოსალოდნელი შედეგები:** თანამედროვე სასწავლო მეთოდები და სასწავლო გარემო, გაზრდილია ინტერესი აკადემიისადმი.
1.5. პროფესიული უნარების განვითარებაზე ორიენტირებული სასწავლო, საბიბლიოთეკო და მატერიალური რესურესების განვითარებადი ღონისძიებების მხარდაჭერა.	მუდმივად	• პროფესიული უნარებისათვის აუცილებელი სასწავლო და მატერიალური რესურსების მუდმივი განახლება	**განმახორციელებელი სტრუქტურა:** • ფინანსური მენეჯერი • სასწავლო პროცესის მართვის სამსახური; • პროგრამის ხელმძღვანელები • ბიბლიოთეკა **პასუხისმგებელი პირი** დირექტორი	**შესრულების კრიტერიუმები:** განხორციელებული შესყიდვები, გაუმჯობესებული სასწავლო პროცესი **მოსალოდნელი შედეგები:** განვითარებული ინფრასტრუქტურა და თანამედროვე ტექნოლოგიებით მხარდაჭერილი სასწავლო პროცესი

სტრატეგიული მიზანი N2 სტუდენტური სერვისების განითარება				
მიზნის მისაღწევი გზები	ვადები	განსახორციელებელი ქმედებები	განმახორციელებელი სტრუქტურები და პასუხის მგებელი პირები	შესრულების კრიტერიუმები; მოსალოდნელი შედეგები; დოკუმენტები
2.1.პროფესიული სტუდენტების მაქსიმალური მხარდაჭერა და საბიბლიოთეკო ფონდის განვითარება	მუდმივად	• სტუდენტების მხარდაჭერა ახალი ინფორმაციითა და ახალი კავშირებით მათ პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებით	**განმახორციელებელი სტრუქტურა:** • პროგრამის ხელმძღვანელები; • სასწავლო პროცესის მართვის სამსახური; • სტუდენტური სერვისების კოორდინატორი • კარიერული განვითარებისა კოორდინატორი **პასუხისმგებელი პირი** დირექტორის მოადგილე	**შესრულების კრიტერიუმები:** სტუდენტური გამოკითხვები, საინფორმაციო შეხვედრების ამსახველი მასალები. **მოსალოდნელი შედეგები:** სტუდენტთა კმაყოფილება მხარდამჭერი და სტუდენტთა კონსულტაციების სამსახურებისადმი;
2.2. პროფესიული სტუდენტებისათვის პროფორიენტაციის, კულტურული და შემეცნებითი ხასიათის, პროფესიული განათლების პოპულარიზაციის ღონისძიებათა ორგანიზება	მუდმივად	• სხვადასხვა ტიპის ღონისძიებების ორგანიზება	**განმახორციელებელი სტრუქტურა:** • კარიერული განვითარებისა კოორდინატორი • საზოგადოებასთან ურთიერთობის კოორდინატორი • ბიბლიოთეკა **პასუხისმგებელი პირი** დირექტორი	**შესრულების კრიტერიუმები:** ღონისძიებების ამსახველი მასალები **მოსალოდნელი შედეგები:** იზრდება საზოგადოებისა და სტუდენტების ნდობა აკადემიისადმი.

2.3. სასწავლო პროცესის ელექტრონული სისტემის დანერგვა და განვითარება	2026- 2028	პროფესიული მასწავლებლებისათვის ტრენინგები ელექტრონულ სისტემასთან დაკავშირებით	**განმახორციელებელი სტრუქტურა:** სასწავლო პროცესის მართვის სამსახური ინფორმაციული ტექნოლოგიების კოორდინატორი **პასუხისმგებელი პირი** დირექტორის მოადგილე	**შესრულების კრიტერიუმები:** დანერგილი სასწავლო პროცესის ელექტრონული სისტემა; **მოსალოდნელი შედეგები:** სტუდენტებისათვის და პროფესიული მასწავლებლებისთვის გამარტივებულის სწავლის შედეგების დადსტურება.
სტრატეგიული მიზანი N3 მართვის პროცესების გაუმჯობესება და პროფესიული განვითარება				
მიზნის მისაღწევი გზები	ვადები	განსახორციელებელი ქმედებები	განმახორციელებელი სტრუქტურები და პასუხის მგებელი პირები	შესრულების კრიტერიუმები; მოსალოდნელი შედეგები; დოკუმენტები
3.1.პროფესიული მასწავლებლების პროფესიული და კარიერული განვითარების მხარდაჭერა	მუდმივად	• პროფესიული და კარიერული განვითარების მხარდაჭერა მათი წახალისების გზით; • მონაწილეობა სხვადასხვა ტიპის კონფერენციებში, ტრენინგებში, პროექტებში	**განმახორციელებელი სტრუქტურა:** • ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების სამსახური • ფინანსური მენეჯერი **პასუხისმგებელი პირი** ხარისხის მართვის მენეჯერი	**შესრულების კრიტერიუმები:** წახალისების ამსახველი მასალა. **მოსალოდნელი შედეგები:** აკადემია აღიარებული საგანმანათლებლო დაწესებულებაა რეგიონისა და ქვეყნის მასშტაბით.
3.2.ადმინისტრაციული პერსონალის პროფესიული ტრენინგების მხარდაჭერა	მუდმივად	ადმინისტრაციული პერსონალი ხელშეწყობა მათთვის პროფესიული ტრენინგების უზრუნველყოფის გზით	**განმახორციელებელი სტრუქტურა:** • ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების სამსახური • ფინანსური მენეჯერი	**შესრულების კრიტერიუმები:** ტრენინგის მასალები და ტრენინგის მარდაჭერის მექანიზმები. **მოსალოდნელი შედეგები:** ადმინისტრაციული პერსონალის მაღალი სტანდარტები

			პასუხისმგებელი პირი ხარისხის მართვის მენეჯერი	
3.3. აკადემიის მართვის პროცესების გაუმჯობესება	მუდმივად	მმართვის პროცესების მონიტორინგის მექანიზმების დახვეწა და დანერგვა	**განმახორციელებელი სტრუქტურა:** • ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი; **პასუხისმგებელი პირი** დირექტორი	**შესრულების კრიტერიუმები:** მონიტორინგის მექანიზმები. თანამშრომელთა კმაყოფილების კვლევა **მოსალოდნელი შედეგები:** მართვის მაღალი სტანდარტები
3.4. აკადემიის ფილიალების გახსნა რეგიონის სხვადასხვა ქალაქებში	2026 -2030	შრომის ბაზრის კვლევა პროგრამების შესამუშავებლად	**განმახორციელებელი სტრუქტურა:** დირექტორის მოადგილე ფინანსური მენეჯერი მატერიალური რესურსების კოორდინატორი **პასუხისმგებელი პირი** დირექტორი	**შესრულების კრიტერიუმები:** გახსნილი ფილიალები **მოსალოდნელი შედეგები:** ხელმისაწვდომი პროფესიული განათლება ქვემო ქართლის რეგიონში, პროფესიული განათლების პოპულარიზაცია